# ხვალ, ლონდონში, „უემბლის“ სტადიონზე გაიხსნება მსოფლიოს VIII პირველობა ფეხბურთში

ეროვნული ბიბლიოთეკა




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 132 (3109) 10 1966 წ. ივლისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## რას ვნახავთ ტელეეკრანებზე

(ცენტრალური ტელევიზია)

11 ივლისი. 22.00. მსოფლიო ჩემპიონატის გახსნა. მატჩი ინგლისი — ურუგვაი (I პროგრამით).

12 ივლისი. 12.15. მეორე ცვლაში მომუშავეთათვის: „მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში“. 22.20. მატჩი: სსრ კავშირი — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა (I პროგრამით). 22.20. მატჩი: ბულგარეთი — ბრაზილია (II პროგრამით).

13 ივლისი. 12.10. მეორე ცვლაში მომუშავეთათვის: „მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში“. 22.20. მატჩი: ჩილი — იტალია. პროგრამის დამთავრების შემდეგ 12 ივლისის მატჩის გამეორება ბულგარეთსა და ბრაზილიის გუნდებს შორის (I პროგრამით). 22.20. მატჩი: უნგრეთი — პორტუგალია (II პროგრამით).

დრო თბილისისაა.



სურათზე: სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც ინგლისს გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. პირველი რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): ნახევარმცველი გ. სიჭინავა („დინამო“, თბილისი), მცველი მ. ხურცილავა („დინამო“, თბილისი), თავდამსხმელი ე. მარქაროვი („ნეფტიანიკი“, ბაქო), მეკარე ა. კავაზაშვილი („ტორპედო“, მოსკოვი), ნახევარმცველი ი. საბო („დინამო“, კიევი), თავდამსხმელი ვ. სერებრიანიკოვი („დინამო“, კიევი), თავდამსხმელი ს. მეტრეველი („დინამო“, თბილისი), მეკარე ლ. იაშინი („დინამო“ მოსკოვი), ნახევარმცველი გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი“ მოსკოვი).

მეორე რიგი: მცველი ლ. ოსტროვსკი („დინამო“, კიევი), თავდამსხმელი ა. ბანიშევსკი („ნეფტიანიკი“, ბაქო), თავდამსხმელი ე. მალოფეევი („დინამო“, მინსკი), თავდამსხმელი ვ. პარკუიანი („დინამო“, კიევი), მწვრთნელი ი. ზოლოტოვი, მცველი ა. კორნეევი (სპარტაკი“, მოსკოვი), ნახევარმცველი ვ. ვორონინი („ტორპედო“, მოსკოვი), მცველი ა. შესტერნიოვი (ცსკა), მცველი ვ. გეტმანოვი (ასკ, როსტოვი), მცველი ვ. დანილოვი („ზენიტი“, ლენინგრადი), მცველი ვ. პონომარიოვი (ცსკა), მცველი ვ. აფონინი (ასკ, როსტოვი), თავდამსხმელი ი. ჩისლენკო („დინამო“, მოსკოვი), მეკარე ვ. ბანიკოვი („დინამო“, კიევი).

ფოტო ვ. შანდრინისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 14 | 9 | 5 | 0 | 29—4 | 23 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 15 | 8 | 5 | 2 | 22—11 | 21 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 15 | 5 | 10 | 0 | 17—11 | 20 |
| ასა (როსტოვი) | 15 | 9 | 1 | 5 | 27—26 | 19 |
| ცსკა | 15 | 6 | 6 | 3 | 28—20 | 18 |
| „დინამო“ (თბილისი) | 15 | 6 | 5 | 4 | 17—10 | 17 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 15 | 6 | 5 | 4 | 23—17 | 17 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 15 | 7 | 2 | 6 | 16—18 | 16 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 16 | 7 | 2 | 7 | 22—26 | 16 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 15 | 5 | 5 | 5 | 20—13 | 15 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 15 | 6 | 3 | 6 | 22—18 | 15 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 16 | 6 | 3 | 7 | 23—27 | 15 |
| „არარატი“ (ერევანი) | 15 | 5 | 4 | 6 | 14—22 | 14 |
| „დინამო“ (მინსკი) | 15 | 4 | 5 | 6 | 14—20 | 13 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 15 | 3 | 6 | 6 | 13—17 | 12 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 15 | 4 | 3 | 8 | 14—21 | 11 |
| „კრ სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 15 | 2 | 6 | 7 | 11—24 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 15 | 3 | 1 | 11 | 13—26 | 7 |
| ასკ (ოდესა) | 15 | 1 | 5 | 9 | 8—22 | 7 |

## „ა“ კლასი I ჯგუფი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. აი, შედეგებიც:

ასკ (ოდესა) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:1.

ასკ (როსტოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:2.

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:1.

## გუშინ...

**გორი**, 9 ივლისი (ტელეფონით). აქ ადგილობრივმა „დილამ“ მიიღო სოხუმის „დინამო“. ბურჯანაძის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა — 1:0.

**გურჯაანი**, 9 ივლისი (ტელეფონით). ადგილობრივი „ალაზანი“ შეხვდა ფოთის „კოლხიდას“. მასპინძლებმა მეტოქეთა კარში 2 ბურთი გაიტანეს, ხოლო საკუთარში არც ერთი არ მიუღიათ და გაიმარჯვეს — 2:0.



## გამარჯვება ბუდაპეშტში

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ წამყვან ახალგაზრდა ჩოგბურთელს ალა ივანოვას. მან ახლახან ბუდაპეშტში გამართულ ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ქალთა ერთეულებში ყველას აჯობა და I ადგილი დაიკავა. ალამ ფინალში დაამარცხა უნგრელი ბარკაი — 7:5, 6:1.

შედარებით მორიდებული შედეგით დაამთავრა ვაჟთა ერთეულების ტურნირი თბილისელმა თ. კაკულიამ. მას მძიმე ბრძოლა მოუწია ნახევარფინალში იუგოსლაველ ფრანულოვიჩთან, იგი სამი პარტიის მერე წინ იყო — — 2:1, ხოლო მომდევნო ორ პარტიაში დამარცხდა — 2:3.

ფოტო ი. იუნაევისა.

## „ბ“ კლასი IV ზონა

გაიმართა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში რსფსრ-ის IV ზონის გუნდებს შორის.

**რუსთავი**, 9 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ადგილობრივი „მეტალურგი“ ეთამაშა ზუგდიდის „ენგურს“.

თამაშის მე-11 წუთზე მასპინძელთა მცველების შეუთანხმებლობით კარგად ისარგებლა ჯოპუამ და ანგარიში გახსნა — 1:0. გოლმა რუსთაველები არ დააბნია. ისინი უფრო გააქტიურდნენ და 30-ე წუთზე გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, რომელიც გოლით დააგვირგვინა პოპიაშვილმა.

მეორე ტაიმის მე-12 წუთზე სტუმრები 11-მეტრიანი დარტყმით დასჯარიმდნენ. კვლავ ისახელა თავი პოპიაშვილმა, რომელმაც ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში.

72-ე წუთზე ზუგდიდელთა საჯარიმო მოედანზე კარგად ითამაშა რუსთაველმა დორეულმა და ანგარიში გახდა 3:1.

დარჩენილი დრო რუსთაველთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

## „ბ“ კლასი II ჯგუფი

8 ივლისს გაიმართა მორიგი მატჩები I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. აი, შედეგები: „თერგი“ (გროზნო) — „დინამო“ (კიროვაბადი) 0:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:1, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 0:1, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „სპარტაკი“ (გომელი) 4:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0.

## ყველა სპორტის საქმით!

◆ **ბალსტადი** (შვეცია), 9 ივლისი. აქ მიმდინარე სკანდინავიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში დიდ წარმატებას მიაღწია საბჭოთა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა. მან დაამარცხა იტალიელი ნ. პიეტრანჯელი და ფინალში გავიდა. I ადგილისთვის იგი შეებრძოლება ესპანელ მ. სანტანას.

◆ **ლონდონი**, 9 ივლისი. „უაიტსიტის“ სტადიონზე დაიწყო დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი მძლეოსნობაში. 6 მილზე რბენაში ევროპის რეკორდს ამიერიდან 2 ავტორი ეყოლება: ევროპის ჩემპიონი, შოტლანდიელი ბ. ტალო და უნგრელი სტაიერი ლ. მეჩერი. მათ ერთდროულად დაამთავრეს რბენა და წამზომებმა 27.23,8 აჩვენეს. მაგრამ რეკორდსმენები როდი იყვნენ რბენაში გამარჯვებულნი. მათ 0,4 წამით მოუგო ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ტუნისელმა მ. გამუდიმ.

◆ **პრაღა**, 9 ივლისი. მძლეოსანთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე — როშიცკის მემორიალზე მოსულ მაყურებელს ორი სიურპრიზი ელოდა: ჯერ 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენმა ე. კლობუკოვსკამ (პოლონეთი) წააგო მასპინძელთან ე. ლეხოცკასთან, თუმცა ორთავემ ერთნაირი დრო — 11,5 აჩვენა (მკერდით წინ იყო ჩეხოსლოვაკიელი), შემდეგ ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი 80 მეტრზე თარჯრბენში კ. ბალცერი (გდრ) მოულოდნელად დამარცხდა პოლონელ ტ. ბედნარეკთან. გამარჯვებულის დროა — 10,7.

◆ **მოსკოვი**, 9 ივლისი. მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში დღეს დამთავრდა რაპირისტთა გუნდური ასპარეზობა. სსრ კავშირის ნაკრებმა ფინალში დაამარცხა უნგრეთის გუნდი (9:1) და ჩემპიონობა მოიპოვა.




# ფიფა–ს

ლონდონი (საკდეხი). „მე ძალზე მოხარული ვარ, რომ ფეხბურთის სამშობლო არჩეულია ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილად", — განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა თავის მოკლე მისასალმებელ, ენამახვილობით ალსავსე სიტყვაში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის გახსნაზე. ფიფა-ს ეს უმაღლესი ფორუმი მოეწყო იმავე „როიალ გარდენ ოტელში", სადაც იანვარში მიმდინარეობდა ფინალური ტურნირის კენჭისყრა.

— ეს სიმბოლურია, — ხაზი გაუსვა ვილსონმა. — რომ ფიფა-ს ალმებს ქვეშ გაერთიანებულია 130 ქვეყანა — უფრო მეტი, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. პრობლემებიც არანაკლები გაქვთ, მაგრამ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ვეტო, არ მიმართავენ ფეხბურთში, — ღიმილით დაუმატა მან.

ვილსონმა აღიარა, რომ ყოველთვის იყო თავგამოდებული გულშემატკივარი, რომ იგი გამარჯვებას უსურვებს ერთ-ერთ ქვეყანას მომავალ ბრძოლებში საფეხბურთო მინდორზე, მაგრამ პრემიერ-მინისტრის მდგომარეობა მას უფლებას არ აძლევს დაასახელოს ამ ქვეყნის ვინაობა. მან გაიხსენა, რომ ორიოდე თვის წინ გადატანილ იქნა ძალზე უსიამოვნო კრიზისი. საბედნიეროდ, პოლიციისა და, განსაკუთრებით, ძაღლის გულმოდგინებით, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიჩინა ფეხბურთის თასისადმი, ოქროს ქალღმერთი ნაპოვნია და ახლა იმყოფება ისეთ ადგილას, რომელიც უხიფათობის მიზნით თვით კონგრესის წევრებმაც კი არ იციან.

კონგრესმა ფიფა-ს პრეზიდენტად კვლავ აირჩია 72 წლის სერ სტენლი როუზი (დიდი ბრიტანეთი).

კონგრესის... დღის წესრიგში იყო ... ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა დისკუსია ფიფა-ს ახლანდელ აკრძალვაზე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღონ მოყვარულმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც თუნდაც ერთი მატჩი აქვთ ჩატარებული მსოფლიო პირველობაზე. კონგრესმა დაავალა ფიფა-ს ახლადარჩეულ სამოყვარულო კომიტეტს, თუ რომელი ქვეყნის გუნდები და მოთამაშეთაგან პირადად ვინ შეიძლება დაშვებულ იქნან ოლიმპიურ ტურნირში.

კონგრესმა შექმნა ოკეანიის ახალი კონფედერაცია, რომელშიც შევიდნენ წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ქვეყნები. ფიფა-ს წევრებად მიიღეს გაბონი, ახალი გვინეა, სინგაპური და სხვა ქვეყნები, მაგრამ სომალი კი გარიცხულ იქნა ამ უმ...

# 7 ფინალი

**1.** 1930 წელი, 30 ივლისი, მონტევიდეო (ურუგვაი).

ურუგვაი — არგენტინა 4:2 (2:1). III ადგილი — აშშ, IV — იუგოსლავია.

ჩემპიონი: ბალესტერო, მაჩერონი, ნაზაცი, ანდრადე, ფერნანდესი, გესტიდო, დორადო, სკარონე, კასტრო, სეა, ირიარტე.

**2.** 1934 წელი, 10 ივლისი, რომი (იტალია).

იტალია — ჩეხოსლოვაკია 2:1 (0:1). III ადგილი — გერმანია, IV — ავსტრია.

ჩემპიონი: კომბი, მანცეგლიო, ალემანდი, ფერარი IV, მონტი, ბერტოლინო, გუაიტა, მეაცა, შიავიო, ფერარი, ორსი.

**3.** 1938 წელი, 19 ივნისი, პარიზი (საფრანგეთი).

იტალია — უნგრეთი 4:2 (4:2). III ადგილი — ბრაზილია, IV — შვეცია.

ჩემპიონი: ოლივიერი, ფონი, რავა, სერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავატი, მეაცა, პიოლა, ფერარი, კოლაუსი.

**4.** 1950 წელი, 16 ივლისი, რიო-დე-ჟანეირო (ბრაზილია).

ურუგვაი — ბრაზილია 2:1 (2:1). III ადგილი — შვეცია, IV ადგილი — ესპანეთი.

ჩემპიონი: მასპოლი, გონზალესი, ტეხერა, გამბეტა, ვარელა, ანდრადე III, ჯიგია, პერესი, მიგუესი, შიაფინო, მორანი.

**5.** 1954 წელი, 4 ივლისი, ბერნი (შვეიცარია).

გფრ — უნგრეთი 3:2 (2:2). III ადგილი — ავსტრია, IV — ურუგვაი.

ჩემპიონი: ტურეკი, პოსიპალი, ლიბრიხი, კოლმაიერი, ეკელი, მეი, რანი, მორლოკი, ოტომარი, ვალტერი, შეფერი.

**6.** 1958 წელი, 29 ივნისი, სტოკჰოლმი (შვეცია).

ბრაზილია — შვეცია 5:2 (2:1). III ადგილი — საფრანგეთი, IV — გფრ.

ჩემპიონი: ჟილმარი, ჯ. სანტოსი, ორლანდო, ბელინი, ნ. სანტოსი, დიდი, ზიტო, გარინჩა, ვავა, პელე, ზაგალო.

**7.** 1962 წელი, 17 ივნისი, სანტ-იაგო (ჩილი).

ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 3:1 (1:1). III ადგილი — ჩილი, IV — იუგოსლავია.

ჩემპიონი: ჟილმარი, ჯ. სანტოსი, მაურო, ზოზიმო, ნ. სანტოსი, ორლანდო, ზიტო, გარინჩა, ვავა, ამარილდო, ზაგალო.

# ჩვენ და ფინალის სხვა მონაწილენი

VIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა ვინაობა ყველამ კარგად იცის. მათ შორის იმყოფება სსრ კავშირის ნაკრებიც. ფინალის დანარჩენ 15 მონაწილეთაგან ჩვენი გუნდი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დონეზე შეხვედრია 12-ს (ნათამაშები არაა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მექსიკისა და პორტუგალიის გუნდებთან). საინტერესოა ერთი ფაქტი: ფინალისტთა შორის მხოლოდ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდია, რომელიც არავის შეხვედრია.

ვფიქრობთ, ფეხბურთის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ, თუ რა ბალანსი აქვს საბჭოთა ნაკრებს როგორც IV ჯგუფში მყოფ გუნდებთან, ისე მომავალ სავარაუდო მოწინააღმდეგეებთან.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი — ინგლისი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:8 |
| სსრ კავშირი — არგენტინა | 3 | 1 | 2 | — | 3:2 |
| სსრ კავშირი — ბულგარეთი | 4 | 3 | 1 | — | 8:2 |
| სსრ კავშირი — ბრაზილია | 3 | — | 1 | 2 | 2:7 |
| სსრ კავშირი — უნგრეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 |
| სსრ კავშირი — ესპანეთი | 1 | — | — | 1 | 1:2 |
| სსრ კავშირი — იტალია | 2 | 1 | 1 | — | 3:1 |
| სსრ კავშირი — ურუგვაი | 5 | 5 | — | — | 13:3 |
| სსრ კავშირი — გფრ | 2 | 2 | — | — | 5:3 |
| სსრ კავშირი — საფრანგეთი | 3 | — | 2 | 1 | 6:7 |
| სსრ კავშირი — ჩილი | 3 | 2 | — | 1 | 4:2 |
| სსრ კავშირი — შვეიცარია | 1 | — | 1 | — | 2:2 |
| სულ | 38 | 18 | 13 | 7 | 60:45 |

# ახლა — ინგლისი

◆ **სსრ კავშირის** ფეხბურთელები მესამედ იბრძვიან ჟიულ რიმეს თასის გათამაშებაში. პირველი გამოსვლა შედგა VI ჩემპიონატში. მას შემდეგ ჩვენი გუნდის შემადგენლობაში უცვლელად თამაშობს მეკარე ლ. იაშინი. მეორედ გაემგზავრნენ ფინალურ თამაშებზე მცველი ლ. ოსტროვსკი, ნახევარმცველი ვ. ვორონინი, თავდამსხმელები ს. მეტრეველი, ი. ჩისლენკო და გ. ჰუსაინოვი. ჩილის ჩემპიონატში სათადარიგო მოთამაშეებად იყვნენ ა. შესტერნიოვი, ვ. სერებრიანიკოვი, ი. საბო.

◆ **9 წლის** წინ, მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში, სადაც შედგა საბჭოთა გუნდის დებიუტი, ჩვენი მოწინააღმდეგე იყო პოლონეთი. 1957 წლის 23 ივნისს სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა გ. კაჩალინმა მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალურ ოქმში პირველად ჩაწერა 11 საბჭოთა ფეხბურთელი: ლ. იაშინი, მ. ოგონკოვი, კ. კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი, ი. ვოინოვი, ი. ნეტო, ბ. ტატუშინი, ვ. ივანოვი, ნ. სიმონიანი, ე. სტრელცოვი, ა. ილინი. მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0.

◆ **სულ საბჭოთა** გუნდს მსოფლიო პირველობებზე ჩატარებული აქვს 24 შესარჩევი და ფინალური მატჩი, სადაც მონაწილეობდა 5... ფეხბურთელი. ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაატარეს ლ. იაშინმა და ... ივანოვმა — 16-16. ვ. ვორონინის აქტივშია 14 მატჩი, შემდეგ მო... დიან: ი. ნეტო — 12, ს. მეტრეველი და მ. მესხი — 11-11, ბ. კუზნეცოვი — 10.

◆ **ქართველ** ფეხბურთელთაგან მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში ს. მეტრეველისა და მ. მესხის გარდა ნათამაშები აქვთ გ. ჩოხელს, ... სიჭინავას, ა. კავაზაშვილს, ვ. ბა... ქაიას, მ. ხურცილავას.

◆ **ყველაზე** შედეგიანი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში საბჭოთა ფეხბურთელთაგან არის ვ. ივანოვი, რომლის ანგარიშზეა 8 გატანილი გოლი. ნ. სიმონიანის, ა. ილინისა და ს. მეტრეველის ანგარიშზეა 5-5 გოლი.

● **მსოფლიო** ჩემპიონატების ჩატარების თაობაზე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გა... ყვეტილება მიიღო ამსტერდამის კონგრესზე 1928 წლის 29 მ... 25 ხმით 5-ის წინააღმდეგ. პირველი გათამაშება ჩატარდა თ... ქმის იმავე ვადებში, როგორც ახლა: 13–30 ივლისს.

● **I ჩემპიონატის** გახსნამდე დარჩენილი იყო 2 თვე, ხოლო ევროპიდან ტურნირში მონაწილეობაზე არ იყო წარდგენილი არც ერთი განაცხადი. მაშინ ფიფა-მ თვითონ მისცა წინადადება საფრანგეთის, იუგოსლავიის, რუმინეთისა და ბელგიის ...

1954

1958

1962



ს უ რ ა თ ზ ე: 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი, რომელიც დრამატულად დამთავრდა უნგრეთის „დიდი გუნდისთვის". გერმანელთა გარემარბ რანს (მიწაზე, თეთრ მაისურში) გააქვს გადამწყვეტი ბურთი.



ს უ რ ა თ ზ ე: 1958 წლის ჩემპიონატის მატჩი სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდებს შორის, რომელიც ფრედ დამთავრდა — 2:2. საბჭოთა მეკარე ლ. იაშინი ებრძვის ინგლისელებს კევანსა და სლეიტერს (№ 6).



ს უ რ ა თ ზ ე: ჩილი. 1962 წელი. ფინალური მატჩი, რომელიც ბრაზილიელებმა მოიგეს ანგარიშით 3:1. ანგარიშს ხსნის ჩეხოსლოვაკიელთა ნახევარმცველი მასოპუსტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონგრესი

...ონგრესი ფედერაციის რიგებიდან ...მის გამო, რომ გადახდილი არ ...ქონდა საწევრო შენატანი.

...დაწესდა, რომ საუკეთესო დროს ...სოფლიოსა და ევროპის ჩემპიონა...ების ფინალური ტურნირებისთვის ...არმოადგენს ივნის-ივლისი, თუმცა ...ფრიკის წარმომადგენლებს ამ სა...კითხზე სულ სხვა შეხედულება გა...ჩნდათ.

...კონგრესში მონაწილე 92 ქვეყნის ...არგზავნილები ინგლისში დარჩე...ბიან დიდი საფეხბურთო ბრძოლის ...საპატიო სტუმრებად. განსაკუთრე...ბული აღნიშვნის ღირსია ის სიხწ...რაფე და სიზუსტე, რომლის წყა...ლობითაც ნახევარ დღეზე ნაკლებ ...დროში ამოიწურა დღის ვრცელი ...წესრიგი, ამასთან გონივრულია ს. ...როუზის წინადადებაც, რომელმაც ...გამოთქვა აზრი შემდგომი კონგრე...სი 1968 წელს არ დაემთხვეს მექსიკის ოლიმპიადას. „დიახ, ეს იყოს კონგრესი, სადაც ნამდვილად ვიმუშავებთ. ჩვენ მრავალი რთული საკითხი გვაქვს გადასაჭრელი — მათ შორის თანამედროვე ფეხბურთის თამაშის წესებიც".

* * *

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა საკითხთა მთელი კომპლექსი, მოიწონა ბიუროს მიერ სამუშაო წესით მიღებული დადგენილებანი. კერძოდ, დამტკიცდა გადაწყვეტილება აეკრძალოთ არგენტინელ ფეხბურთელებს სივორისა და მასხიოს მონაწილეობა მიიღონ ფინალურ ტურნირში თავიანთი ქვეყნის გუნდის შემადგენლობაში, ვინაიდან წინა ჩემპიონატში ისინი გამოდიოდნენ იტალიის ნაკრებში. ამგვარი ზომა მიღებულია პირველად.

დღეს, 10 ივლისს დანიშნავენ მსაჯებს თამაშებზე. როგორც ცნობილია, საუკეთესო არბიტრთა შორის საბჭოთა კავშირიდან არის ტ. ბახრამოვი.

10 ივლისს შედგება აგრეთვე ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მორიგ გათამაშებათა კენჭისყრა. გამოვლინდებიან მოსკოვის გუნდების — „ტორპედოს" და „სპარტაკის" მეტოქეები.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პირველად შევიდა ფეხბურთის ფედერაციათა ევროპის ასოციაციის (უეფა) აღმასრულებელ კომიტეტში, ესაა ნიკოლოზ რიაშენცევი — საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე. უეფა-ს ასამბლეამ ევროპის ეროვნებათა თასს, რომელმაც ბოლო ხანებში დიდი პოპულარობა მოიპოვა, ოფიციალურად უწოდა ევროპის ჩემპიონატი. როგორც ცნობილია, ამ ტურნირის კენჭისყრა გაიმართა 23 თებერვალს და სსრ კავშირის გუნდთან ერთად ერთ ჯგუფში მოხვდნენ ავსტრია, ფინეთი და საბერძნეთი.

შარშან ევროპის თასის გათამაშებაში საკლუბო გუნდებისთვის დაწესებულ იქნა მოწინააღმდეგის მინდორზე გატანილი ბურთების უპირატესობის ახალი წესი: თუ გუნდმა ერთი მატჩი მოიგო, ხოლო საპასუხო წააგო ბურთების იმავე განსხვავებით, გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მეტი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის მინდორზე. ეს წესი არ მოსწონთ იტალიელებს, მაგრამ მათ პროტესტს ასამბლეაზე მხარი არ დაუჭირეს. არ დაუჭირეს მხარი აგრეთვე მოთხოვნას კვლავ იქნას შემოღებული პრაქტიკაში დამატებითი თამაშები კენჭისყრის ნაცვლად.



მთელი მსოფლიო მოიარა სენსაციურმა ცნობამ იმის თაობაზე, რომ ლონდონში, ვესტმინსტერში დაიკარგა უმაღლესი საფეხბურთო პრიზი, ჟიულ რიმეს თასი, ოქროს ქალღმერთ ნიკეს ქანდაკება. ეს ნამდვილი სკანდალი იყო. ინგლისის დეტექტივებს იმ ხანებში მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდათ — თასის პოვნა. ფეხზე იდგა მთელი სამძებრო აპარატი.

საბედნიეროდ, ქანდაკება მოძებნილ იქნა. დეტექტივებზე უკეთესი ყნოსვა აღმოაჩნდა უბრალო ძაღლს — „თალლითს", რომელმაც იპოვა მიმალული პრიზი. მას შემდეგ ამ სიმპათიურმა ძაღლმა საერთაშორისო პოპულარობა მოიპოვა.

ს უ რ ა თ ზ ე: „თალლითი" და ამიერიდან მისი განუყრელი მეგობარი — ბურთი.

# მსაჯობა...



ფრანგი ჟიულ რიმე წლების განმავლობაში იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი. სწორედ მან დაამზადებინა ფრანგ იუველირს ა. ლეფევრს გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკება, რომლისთვისაც უკვე მერვედ იბრძვიან მსოფლიოს უძლიერესი გუნდები.

ს უ რ ა თ ზ ე: ჟიულ რიმე.

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ბოლო დღემდე საიდუმლოდ ინახავს მსაჯთა ბრიგადების განაწილების საკითხს. არბიტრები დაინიშნებიან თითქმის ბოლო მომენტში.

ჩემპიონატის მომსახურებისთვის 81-მა ეროვნულმა ფედერაციამ წარმოადგინა 141 არბიტრი. კომიტეტმა მათგან აირჩია 31. წინა გათამაშებებში მერვედფინალების მსაჯთა სია გამოქვეყნებული იყო დიდი ხნით ადრე. ახლა ეს წესი შეიცვალა. დღეს, 9 საათზე გრინვიჩის დროით, როცა „კენსინგტონ კლოუზის" სასტუმროში კონფერენციაზე შეიკრიბებიან 16 დელეგაციის მეთაურნი და ყველა არბიტრი, გამოქვეყნდება, თუ ვინ სად მსაჯობს.

დადგინდა, რომ მსაჯებს მოათავსებენ ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში, საიდანაც მათ მანქანებით წაიყვანენ სტადიონებზე. მხოლოდ არბიტრთა მცირე ჯგუფი იცხოვრებს სანდერლენდში, სადაც იმართება IV ჯგუფის თამაშები.

სერიოზული ყურადღება ექცევა ბურთებს, რომლებიც დამზადებულია ბრიტანული ფირმა „შლეზინგერის" მიერ. სპეციალურად გაიკეთეს სასწორები, მანომეტრები და ინდიკატორული მანომეტრები, რომელთა საშუალებითაც კომიტეტი შეამოწმებს თვითეულ ბურთს.

ჩემპიონატის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რიცხვიდან დაინიშნება კომისარი, რომელიც კონტროლს გაუწევს მსაჯობას. მას გარდა, ყოველ მატჩზე მეთვალყურედ იქნება მსაჯთა კომიტეტის სპეციალური კონტროლიორი. მათ მოვალეობას შეადგენს ყველა იმ სადავო საკითხის გადაჭრა, რომლებიც წამოიჭრება ადგილზე.

მატჩის წინ შეივსება ოქმი 22 მოთამაშის სიით (11-11 თვითეული გუნდიდან, შეცვლა ნებადართული არაა). მოთამაშეებს აქვთ რიგითი ნომრები დაწყებული 1-დან — 22-მდე. ყოველი მატჩის დამთავრების შემდეგ არბიტრი ადგენს სპეციალურ ბარათს, სადაც უნდა აისახოს მატჩის ყველა შემთხვევა. ეს ბარათი ეგზავნება ჩემპიონატის თავკაცებს. კომისარი და მსაჯთა კომიტეტის წევრი თავიანთ მხრივ ადგენენ ე. წ. „ინსპექტორის ბარათს", აღწერენ მოცემული თამაშის მსაჯობის ყველა დეტალს და არბიტრს შეფასებას მისცემენ 5-ბალიანი სისტემით.

საგანგებო ყურადღება მიექცევა უხეშობასთან ბრძოლას. ფეხბურთელებს, გუნდების ოფიციალურ წარმომადგენლებსა და მსაჯებსაც წარედგინებათ მკაცრი მოთხოვნები.

ფიფა-ს პრეზიდენტი ს. როუზი მოითხოვს გადამჭრელ ზომებს უხეშობის წინააღმდეგ. მისი მოთხოვნით ფეხბურთელმა, რომელსაც გააძევებენ VIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩებიდან, აეკრძალება თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მონაწილეობა 12 თვით. ყველა სტადიონზე დაწესდება პოლიციელთა გაძლიერებული რაზმების მორიგეობა. პრეზიდენტმა მოიყვანა მაგალითი, როცა 1930 წელს აშშ-ისა და არგენტინის გუნდების შეხვედრაში, რომელიც ამერიკელებმა წააგეს ანგარიშით 1:6, ამ გუნდის წარმომადგენელმა ქლოროფორმი შეასხა სახეში არბიტრ ლანგენუსს, თითქოს იგი იყო დამნაშავე დამარცხებაში. მსგავსი ამბავი ინგლისში არ უნდა გამეორდეს.

ბოლო 2 მსოფლიო ჩემპიონატში შემოტანილი იყო რამდენიმე პროტესტი არასწორ მსაჯობაზე, მაგრამ ყველა ეს პროტესტი დაუკმაყოფილებელი დარჩა, ვინაიდან მსაჯთა მხრივ წესების ფორმალურ დარღვევას ადგილი არა ჰქონია, ხოლო მათი სუბიექტური შეხედულება ცალკეულ მომენტებზე მატჩის მსვლელობისას საბოლოოა. და მაინც, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დამნაშავე მსაჯი დაისჯება, ისევე, როგორც დაისაჯა ჩილის ჩემპიონატში ინგლისელი მსაჯი ასტონი, რომელსაც დისკვალიფიკაცია მიეცა იტალიისა და ჩილის გუნდების არაკვალიფიციური მსაჯობისთვის.

ქვეჯგუფებში გათამაშებათა დამთავრების შემდეგ მოხდება არბიტრთა დანიშვნა შემდგომ შეხვედრებზე. უწინ ნახევარფინალებსა და ფინალებს მსაჯობდნენ მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთა გუნდები უკვე გაითიშნენ ტურნირიდან. ახლა ეს წესი შეიცვალა და შესაძლოა ყველაზე უფრო კვალიფიციური მსაჯები მოემსახურონ მატჩებს მაშინაც კი, თუ მათი გუნდი განაგრძობს ბრძოლაში მონაწილეობას.



ინგლისში ახლა ჭკუა ისწავლეს. ოქროს ქალღმერთის ქანდაკება ისეთ ადგილასაა, რომ მას ხიფათი აღარ ელის.

ს უ რ ა თ ზ ე: ჟიულ რიმეს თასი საიმედო ხელთაა.

# საგზურები — მეშახტეებს

მსოფლიოში ალბათ არ მოიძებნება ფეხბურთის გულშემატკივარი, რომელსაც გულით და სულით არ სურდეს ლონდონში გამგზავრება, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე დასწრება მათთვის არც თუ ისე იოლი ხელმისაწვდომია. და აი, გამოჩნდა ორი ბედნიერი ადამიანი — დონეცკელი მეშახტეები დ. ციმბარენკო და ნ. ხომუტოვი. ისინი მუშაობენ დონეცკის „ოკტიაბრსკაიას" შახტში, სოციალისტური შრომის გმირის ნ. გრინდის ბრიგადაში, რომელმაც ამას წინათ ქვანახშირის მექანიზირებული მოპოვების მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

დ. ციმბარენკო და ნ. ხომუტოვი დააჯილდოვეს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებით და ისინი ლონდონს გაემგზავრნენ.

# მსოფლიო ჩემპიონატების 10 საუკეთესო გუნდი ფინალურ ტურნირებში

| | | რამდენჯერ მონაწ. | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | 7 | 29 | 19 | 5 | 5 | 80:36 | 43 |
| 2. | იტალია | 5 | 17 | 11 | 2 | 4 | 36:20 | 24 |
| 3. | უნგრეთი | 5 | 19 | 11 | 2 | 6 | 62:27 | 24 |
| 4. | ურუგვაი | 4 | 16 | 11 | 1 | 4 | 50:23 | 23 |
| 5. | გფრ | 3 | 16 | 9 | 3 | 4 | 41:30 | 21 |
| 6. | იუგოსლავია | 5 | 19 | 9 | 3 | 7 | 33:27 | 21 |
| 7. | ჩეხოსლოვაკია | 5 | 19 | 8 | 3 | 8 | 30:29 | 19 |
| 8. | შვეცია | 4 | 16 | 8 | 2 | 6 | 38:35 | 18 |
| 9. | ჩილი | 3 | 12 | 7 | 0 | 5 | 20:17 | 14 |
| 10. | საფრანგეთი | 5 | 14 | 7 | 0 | 7 | 36:28 | 14 |

სსრ კავშირი მონაწილეობდა 2 ფინალურ ტურნირში (9 მატჩი, 10 ქულა).




...დებს გამგზავრებულიყვნენ მონტევიდეოში, სადაც მიმდინარეობდა გათამაშება. ევროპელი ფეხბურთელები თბომავალ „კონტევერდით" 10 დღე მოუნდნენ სამხრეთ ამერიკამდე.

● **იმავე** I მსოფლიო ჩემპიონატში დანიშნულ იქნა პენალტების სარეკორდო რაოდენობა ერთ მატჩში. არგენტინისა და მექსიკის გუნდების შეხვედრაში მსაჯს 5-ჯერ მოუხდა ბურთის დადება 11-მეტრიან ნიშანზე.

● **ყველა** მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო რეკორდსმენად დღემდე ითვლება ცნობილი ფრანგი ფორვარდი ჟიუსტ ფონტენი. 1958 წლის შვეციის ჩემპიონატში მან 6 მატჩში გაიტანა 13 ბურთი.

● **მაყურებელთა** სარეკორდო რაოდენობა ფიქსირებულია 1950 წლის ფინალურ მატჩში ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრებ გუნდებს შორის — 180 ათასი. ეტყობა, ეს რეკორდი კარგა ხანს არ მოიხსნება, ვინაიდან არც ერთი სტადიონი, გარდა „მარაკანასი", არ იტევს მაყურებელთა ასეთ რაოდენობას.

„ქალბატონ ნიკეს" უკანასკნელი სამზადისი



ნახ. გ. იაშვილისა.

## დღეს უკანასკნელი ტურია

ბათუმი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ბოლოსწინა, XIV ტურში ჯინჯიხაშვილმა დაამარცხა ბაგიროვი, ველიმიროვიჩმა — გურგენიძე, ფილდიმ — უბილავა. ცინი — იანსას, გიორგაძე — ბუსლაევის, მინიჩ — პოპოვის, დოდა — კოლაროვის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. კურაიცა — უიტელკის პარტია გადაიდო.

გასულ შაბათს მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება. უიტელკმა მოუგო იანსას და ყაიმზე შეუთანხმდა კურაიცას.

ბოლო ტურის წინ ლიდერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: კურაიცა — 9,5 ქულა, გურგენიძე, ბაგიროვი — 9-9, იანსა, ცინი — 8,5-8,5, ჯინჯიხაშვილი — 8 ქულა.

## რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად

ბ ა თ უ მ ი, 9 ივლისი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.). „სპარტაკის" აუზში გუშინ გაიმართა ოთხთა ასპარეზობის II ტურის შეხვედრები. მოსკოვის „ტრუდისა" და უკრაინის ნაკრების მატჩში უპირატესობა თავიდანვე უკრაინელ სპორტსმენთა მხარეს იყო და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 6:2.

საქართველოსა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივების შეხვედრის დაწყებისთანავე ანგარიში გახსნა ვ. თორთლაძემ, რასაც მალე მეორე გოლიც (რ. ოჩიგავა) მოჰყვა. II პერიოდში ისევ თორთლაძემ ისახელა თავი — 3:0. მალე მსაჯმა უხეშობისთვის იგი აუზიდან გააძევა, რითაც კარგად ისარგებლა გ. ტერენტიევმა და ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა. III პერიოდში აუზი ოჩიგავას დაატოვებინეს. რიცხობრივი უპირატესობა ახლაც კარგად გამოიყენეს ლენინგრადელებმა [illegible] გაიტანა ტერენტიევმა — 3:2. ეს იყო საქართველოს ნაკრების მეტოქეთა უკანასკნელი წარმატება. ბოლო პერიოდში ი. სხირტლაძემ სტუმრები ორჯერ აიძულა თამაში ცენტრიდან დაეწყოთ. მატჩი მოიგო საქართველოს ნაკრებმა—5:2.

ორი ტურის შემდეგ საქართველოსა და უკრაინის გუნდებს 4-4 ქულა აქვთ.

ო. მურვანიძე.

## პროექტის ავტორია სპორტის ოსტატი



საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ზ. ჩაჩავას სპორტის მოყვარულნი იცნობენ, როგორც საუკეთესო წყალბურთელს და მსაჯს, მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რომ იგი კარგი ხუროთმოძღვარიცაა.

საქართველოს „სოფლმშენის" საპროექტო ინსტიტუტის სამოქალაქო ნაგებობათა განყოფილების არქიტექტორმა ზ. ჩაჩავამ დააპროექტა საზაფხულო საცურაო აუზი, რომელსაც „ლოკომოტივი" თბილისში აგებს. ავტორის ძირითადი ამოცანა იყო მაქსიმალურად გამოეყენებინა მშენებელი-სპორტსმენის სპეციალური ცოდნა და გამოცდილება ისეთი სპორტნაგებობის შესაქმნელად, რომელშიც ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ყველა პირობა იქნებოდა. ეს ჩვენს ქვეყანაში წყალბურთელთა მესამე სპეციალიზებული აუზია. მისი სიგრძე 33,3 მეტრი, სიგანე კი 21 მეტრია, და მოცურავეთა საწვრთნელადაც შეიძლება იქნას გამოყენებული.

აქვე მოეწყობა საშხაპეები, ფინური და რომაული აბანოები, ადმინისტრაციული და დამხმარე ოთახები, საერთო საცხოვრებელი ჩამოსული სპორტსმენებისთვის, გასახდელები, ბურთების საშრობი სათავსი, საბავშვო აბაზანა. ტრიბუნები 1.600 მაყურებელს დაიტევს. შენობა ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისგან აიგება.

რ. მევრელიშვილი.

ს უ რ ა თ ზ ე: ახალი აუზის პროექტის ესკიზი.



## ა. ბარბიუსი

...ცხრა, ათი! — გაისმა მსაჯის ხმა სამარისებურ სიჩუმეში.

გრძნობადაკარგული მაკ გიუ რინგიდან გაიტანეს. საშინელმა ღრიანცელმა კინაღამ ჭერი აჰხადა სამხეცეს დამსგავსებულ დარბაზს. ორმოცდაათიოდე წლის წინ ამ დარბაზში შედგა ავსტრალიის ჩემპიონის — ფილმ მაკ გიუსა და სან-ფრანცისკოს კერპის, ამერიკის ჩემპიონის — ოტის იერის სენსაციური მატჩი. აღფრთოვანებული სპორტის მოყვარულები მქუხარე ტაშით შეხვდნენ სახელოვანი იერის გამარჯვებას, რომელმაც ასე მარჯვედ დასცა მაკ გიუ. მანამდე კი, „მეკანიკ და ვუდვორტის" პავილიონებში ზედიზედ დაამარცხა თავისი ძლიერი თუ სუსტი მეტოქეები.

ამ „კეთილშობილური ხელოვნების" მოტრფიალენი გულშემატკივართა ორსავე ბანაკში იყვნენ. მათ იცოდნენ, რომ სახელგანთქმულ იერს მძიმე მუშტი ჰქონდა, მაგრამ მაკ გიუ შესანიშნავი ყმაწვილი იყო — ყოჩაღი და ხელგაშლილი, ამიტომ იგი ასეთ სასტიკ სასჯელს არ იმსახურებდა.

მეექვსე რაუნდში მაკ გიუ მოკრივეს აღარც ჰგავდა. ეს იყო რაღაც უცნაური არსება. რომელიც ორ თათზე შეაყენეს და თავი დაადგეს; მკლავები მოწყვეტილივით ჩამოეყარა, ტორტმანებდა, ოტის იერის სულის ერთი შებერვაც კი ძირს დაადებდა. იერმა ნაბიჯი უკან გადადგა და მარცხენა ხელი მთელი სიძლიერით გაარტყა. მაკ გიუმ ზღართანი მოადინა რინგზე.

სისხლისაგან დაცლილი მაკ გიუ ორი დღის შემდეგ მოკვდა ისე, რომ გონზე არც კი მოსულა.

სახელოვანმა ოტის იერმა ტრიუმფალური სვლა განაგრძო. ოცდახუთი წლისა, უკვე დასავლეთის ვარსკვლავი იყო, ოცდარვისა კი ეროვნული გმირი გახდა. ზედიზედ ამარცხებდა მეტოქეებს და თავად ერთხელაც არ უგემნია ნოკაუტი ფრედ მხოლოდ ორი მატჩი დაამთავრა. ოთხჯერ კი მსაჯმა უსამართლო განაჩენი გამოუტანა. მაგრამ, როგორც მისი სადავო მატჩების ირგვლივ გაზეთებში ატეხილი კამათიდან ჩანდა, დავის მიზეზი მუდამ საეჭვო იყო.

გავიდა 10-20 წელი, იერი კვლავ რინგის „უძლეველი მეფე" იყო, ისევ ისეთი ბრგე და წარმოსადეგი. კუნთებისგან შეკრული სხეული ეროვნული მუზეუმის გლადიატორს მიუგავდა. ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ. მეექვსე წელს მხოლოდ იმიტომ დაჰკარგა ეს წოდება, რომ აღარ ვარჯიშობდა.

ყველა სპორტული გაზეთი ამტკიცებდა, რომ მოენდომებინა, ოტის იერი გიუ ჯიბსონსაც დაამარცხებდა და სხვა მრავალსაც. მაგრამ ამჯერად იერმა თევზაობა ამჯობინა. მობეზრდა ჩემპიონობა. სპორტს თანდათან ჩამოშორდა. 60 წლის რომ შესრულდა, განაცხადა კრივს საბოლოოდ ვანებებ თავსო. ნიუიორკში კაფეს გახსნას აპირებდა. მაგრამ ჩვენი გოლიათი იერი მაინც უძლეველის სახელს ატარებდა. რინგის მტვერი არასოდეს მოუწმენდია, ყოველი შეხვედრის დამთავრებისას ფეხზე იდგა ძლიერების გამომხატველ ქანდაკებასავით წელგამართული. დიდება ჩვენს ეროვნულ გმირსა და მსოფლიო ჩემპიონს — ოტის იერს!

როცა ხმა გავარდა იერი რინგს ემშვიდობებაო, კანადელმა მენაჯერმა ფლოიდმა ერთ საღამოს მას შეურაცხყოფა მიაყენა. იერს სისხლი ყელში მოაწვა. მან თავის იმპრესარიოს — ჯიმ შარპრს სთხოვა სასწრაფოდ დაეზუსტებინა ახალი მატჩის პირობები უცნობ მოკრივესთან, რომელიც ფლოიდმა სხვათა შორის ახსენა.

დამსწრეებმა ალტაცების ღრიანცელი ატეხეს, — კვლავ იხილავენ რინგზე სახელოვან ოტის იერს!

მოკრივე, რომლის სურვილითაც უნდა შემდგარიყო ეს მატჩი, ახალგაზრდა დიკ მაკ გიუ, იერის მიერ ნოკაუტით მოკლული მაკ გიუს შვილი იყო. მამის ტრაგიკულმა სიკვდილმა დიკს ძალიან პატარას მოუსწრო. ბავშვმა მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო ამ მატჩის ზოგიერთი წვრილმანი და მის გულში დაისადგურა დიდმა სიძულვილმა იმ პირუტყვისადმი, რომელმაც ასე უმიზეზოდ დააობლა. შურისძიებაზე ოცნებობდა. მოთმინებით ვარჯიშობდა და ერიდებოდა ქალაქებს, სადაც ათასფრად აჭრელებული აფიშები საზიზღარი მკვლელის სახელს აცხადებდნენ. მაკ გიუმ მოიარა ავსტრალია, ინგლისი, საფრანგეთი... საფრანგეთში ის-ის იყო იღვიძებდა სპორტისადმი ინტერესი. ფრანგები სპორტულმა იდეებმა გაიტაცა. დიკმა მიზანს მიაღწია — საუკეთესო მოკრივე გახდა. როცა იგრძნო, რომ შურის საძიებლად ძალა შესწევდა, იერის საპოვნელად გაემგზავრა და ბოლოს, როგორც ვთქვით, შეძლო მისი რინგზე გამოწვევა. ამ შეხვედრაში, რომლის დაწყებაც, იუპიტერს ვფიცავ, შეუძლებელია, ასაკთა სხვაობის გამო, ძალები მეტად უთანაბრო იყო.

რაც უნდ მაგარი და უდრეკი ყოფილიყო ბებერი მუხა, რაც უნდ ძლიერი კუნთები ჰქონოდა, ეს შეხვედრა კარგს არას უქადდა. იერის გულშემატკივრები შიშმა შეიპყრო. ყველაფერი გაითვალისწინეს, მაგრამ დაუჯერებელი იყო, რომ ეს ვეება, უკვე გაცვეთილი ბებერი ჯან-ლონით სავსე ყმაწვილს დაამარცხებდა. ნუთუ ოტის იერის შეულახავი სახელი ერთმა ნოკაუტმა უნდა შებღალოს? არავითარ შემთხვევაში! ბებერი ლომი კვლავ იზეიმებს!

დაწვრილებით არ აღვწერ ამ შეხვედრას, მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს ჩემს მიერ ნანახი ყველაზე დრამატული მატჩი იყო. მაინც არ შემიძლია არ აღვნიშნო იერის ჯიპსი პირველ რაუნდში, რამაც მოწინააღმდეგე დააბნია და ორი სვინგი მეორეში — ერთი მარჯვენით — ყბაში, მეორე მარჯვენითვე — მუცელში. ბოლოს კი უძლიერესი დარტყმა გულის კოვზში. თუმცა დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ იერმა ჩვილი ბავშვივით გააყუჩა ვილ ედენი (შურისძიების განზრახვის დასაფარად, მაკ გიუ თავის ნამდვილ გვარს არ ატარებდა). დამარცხების შემდეგ დიკი რომელიღაც პროვინციაში გადაიკარგა და ვიღაც დალაქს დაუდგა შეგირდად. ამ შემთხვევის შემდეგ ოტის იერმა საბოლოოდ მიატოვა კრივი.

გაცილების ამაღელვებელი ცერემონიალი! დეტროიტელი ჯალათი დენ სიმონსი ცხარე ცრემლით ტიროდა. იერმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. მერე კი ყველამ იმდენი ვსვით, რომ სამი დღის წყურვილი ერთად მოვიკალით.

რა შეედრება ჰოკნეი ჰილს აპრილში, როცა მისი ვიწრო, სწორი ბილიკები და ქაშანურის კვერცხებივით მოელვარე კენჭები მზის თბილი სხივებითაა გაბრწყინებული. ერთხელ ამ პარკის ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში დაჩაჩანაკებული მოხუცი გამოჩნდა. მაღალი ტანისა იყო, ძალიან მოხდენილი. დიდი, ვეება თავი, რომელიც შორიდან გატყავებული ლომის თავს წააგავდა, გამუდმებით უცახცახებდა. ეს უცნაური ნანგრევი მწვანედ შეღებილ სკამზე ჩამოჯდა და აბიბინებულ მდელოს გადახედა. ცისფერი, მღვრიე თვალები თავისთავად უცრემლდებოდა. თვითეული თვალის ფოსოში მუშტი ჩაეტეოდა. მოხუცის ყურადღება მიიპყრო პატარა არსებამ, რომელიც თითქოს პირდაპირ მისკენ მოემართებოდა.

— ეჰე, ჰე... ჰა... ჰა... — ჩაიჩიფჩიფა გახარებულმა ბერიკაცმა. მისმა ჩამქრალმა თვალებმა ათიოდე ნაბიჯზე ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნა გაარჩია, რომელსაც ხის ქოშები ეჭირა და მოტანტალებდა. ბიჭუნა პირდაპირ მოხუცთან მივიდა, წინ გაუჩერდა და ჰკითხა:

— თქვენ ოტის იერი ხართ?

— სინდისს გეფიცები, მგონი, მე ვარ, — ჩაიცინა გამოცოცხლებულმა მოხუცმა.

— მაშ, კარგი, — უთხრა ბავშვმა, — მე ვარ ბობ მაკ გიუ, ფილის შვილიშვილი და დიკის შვილი. ახლავე ნოკაუტში ჩაგაგდებთ.

ამ სიტყვებისთანავე ბიჭუნამ მოკრივის პოზა მიიღო. ოდნავ შემკრთალმა ექს-ჩემპიონმა პირი დააღო, მაგრამ უმალ მოკუმა, როგორც კი მიიღო სვინგი და, ღმერთმანი, საკმაოდ ძლიერიც. შემდეგ კი — ბუმ! — ორი დარტყმა. იერმა დიდი დასუსტებული ხელები აწია თავის დასაცავად, უხერხულად მოიგერია დარტყმა, მაგრამ მაინც დამარცხდა. დამარცხდა თავის მსხვერპლთა ყველაზე უმცროსი წარმომადგენლის მიერ. სახეგასისხლიანებულმა მოხუცმა დაიკვნესა და უსულოდ დაეცა. ბავშვმა სერიოზული სახით დაითვალა ათამდე და რაკი ბებერი ლომი არ განძრეულა, ცერებზე აიწია, გამარჯვებულმა, მამლაყინწასავით შეჰყივლა და შინისკენ მოკურცხლა.



ფრანგულიდან თარგმნა
რ. ცაბარელმა.



მტკვარზე, „300 არაგველის" ობელისკთან.
ფოტო ა. ქურდიანისა.

## 11 პრიზი

საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა პარიზში გამართული მოტოციკლისტთა საერთაშორისო ფედერაციის რალი, რომელშიც 12 ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ. სსრ კავშირის გუნდმა, რომელშიც 9 საკლუბო კოლექტივის 70 მოტოციკლისტი შედიოდა, მოიპოვა შეჯიბრების მთავარი პრიზი — მოტოციკლისტთა საერთაშორისო ფედერაციის გარდამავალი ჯილდო — ვერცხლის თასი. ამას გარდა, ჩვენმა გუნდმა მოიხვეჭა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დე გოლის სპეციალურად ამ რალისათვის დაწესებული პრიზი — სევრის ფაიფურის თასი, აგრეთვე დიდი წარმატებებისთვის — სამუდამო მფლობელობაში მოტოციკლისტთა საერთაშორისო ფედერაციის პრიზი. სულ საბჭოთა სპორტსმენებმა 11 პრიზი მოიხვეჭეს, ხოლო საკლუბო ჩათვლაში ცხრავე საბჭოთა გუნდი ათეულში მოხვდა. საერთაშორისო მოტორალი ტრადიციული შეჯიბრებაა და 1936 წლიდან ტარდება. საბჭოთა გუნდი რალიში მეოთხედ ასპარეზობდა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 04959